# იმერეთის აგრო ზონის

# სასათბურე მეურნეობების კლასტერის განვითარების (GHCD) პროექტის

# ფაზა I-ის (2022-2023 წწ.) იმპლემენტაციის

## საერთო საკონსულტაციო მომსახურების მიწოდების

## ფასთა მოკვლევა

# სარჩევი

**IAZ-ის მოთხოვნა GHCD-ის საერთო, 2-წლიანი საკონსულტაციო მომსახურების მიწოდებაზე.... 4**

შემაჯამებელი მიმოხილვა .... 4

შესყიდვის ობიექტი .... 4

**ფასის მოკვლევის მოთხოვნები .... 5**

მოთხოვნილი საერთო საკონსულტაციო მომსახურების მიწოდების საბოლოო თარიღი ... 5

საერთო საკონსულტაციო მომსახურების ფასის წარდგენა.... 5

განმცხადებლის იურიდიული სტატუსი .... 6

ნებისმიერი სახის იურიდიული პირი (შპს, სს, ამხ. და ა.შ.), რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით. .... 6

მოთხოვნილი შესაბამისი გამოცდილება.... 6

**წარმოსადგენი ანგარიშები .... 7**

**შესასრულებელი სამუშაოების საერთო ჩამონათვალი და პირველადი განრიგი .... 7**

საერთაშორისო სენიორ ექსპერტები სრულ განაკვეთზე (Senior Expertise).... 7

ადგილობრივი სენიორ ექსპერტები სრულ განაკვეთზე (Senior Expertise) .... 7

საერთაშორისო სენიორ ექსპერტები არასრულ განაკვეთზე (Senior Expertise) .... 8

ადგილობრივი სენიორ ექსპერტები არასრულ განაკვეთზე (Senior Expertise).... 8

წინასწარ შეთანხმებული ჩანიშნული შეხვედრები (ან, ონლაინ შეხვედრები).... 8

IAZ-ის პროექტების მართვის გუნდთან .... 9

RDA-სთან, MEPA-სთან და GoG-სთან .... 9

საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან .... 9

განვითარების სააგენტოებთან .... 9

შესაბამის საელჩოებთან.... 9

ადგილობრივ მოსახლეობასთან .... 9

IAZ-ის მხარდაჭერა სხვა მნიშვნელოვანი შეხვედრების (ან საკონფერენციო ზარების) დროს.... 9

პროექტის განვითარების საერთო სამუშაოების ჩამონათვალი .... 9

2022 წლის RfP პროცესის ზოგადი ჩამოყალიბება.... 9

2022 წლის RfP დოკუმენტის მომზადება .... 9

2022 წლის RfP-ის გასაჯაროვებისთვის პროცესის მომზადება.... 10

2022 წლის RfP-ის გასაჯაროვება .... 10

2022 წლის RfP-ის მონაცემთა მართვა საჯარო გამოცხადებისთვის .... 10

2022 წლის RfP-ის შეჯამება, აპლიკანტებთან მოლაპარაკება და კონტრაქტების გაფორმებაში ხელშეწყობა .... 10

2023 წლის RfP პროცესის ზოგადი ჩამოყალიბება ...... 10
2023 წლის RfP დოკუმენტის მომზადება ...... 11
2023 წლის RfP-ის გასაჯაროვებისთვის პროცესის მომზადება ...... 11
2023 წლის RfP-ის გასაჯაროვება ...... 11
2023 წლის RfP-ის მონაცემთა მართვა საჯარო გამოცხადებისთვის ...... 12
2023 წლის RfP-ის შეჯამება, აპლიკანტებთან მოლაპარაკება და კონტრაქტების გაფორმებაში ხელშეწყობა ...... 12
IAZ-ის საწარმოო ნაკვეთის დეტალური საინჟინრო პროექტირების (ძირითადი ინფრასტრუქტურა - გზები, ბუნებრივი აირის, ელექტროენერგიის და წყლის მიწოდება, საკანალიზაციო სისტემა) ToR-ის მომზადება ...... 12
კონკურსის გამოცხადება EPC და სხვა შესაბამისი კონტრაქტორი კომპანიებისთვის ...... 12
IAZ-ის 10 წლიანი ბიუჯეტის განახლება ...... 12
კონსულტაცია შპს IAZ-ს სს IAZ-ად რესტრუქტურიზაციის შესახებ ...... 12
საკონსულტაციო მომსახურება IAZ-ისთვის HTDC-ის პროექტის იმპლემენტაციის ჭრილში ...... 12
საკონსულტაციო მომსახურება IAZ-ისთვის სს CLC-ის პროექტის იმპლემენტაციის ჭრილში ...... 13
საკონსულტაციო მომსახურება IAZ-ისთვის სს AEU-ს პროექტის იმპლემენტაციის ჭრილში ...... 13
საკონსულტაციო მომსახურება IAZ-ისთვის მერძევეობის სასაქონლო ფერმის იმპლემენტაციის ჭრილში ...... 14
საკონსულტაციო მომსახურება IAZ-ისთვის განახლებადი ენერგიის გენერაციის განვითარების ჭრილში ...... 14
საკონსულტაციო მომსახურება IAZ-ისთვის 5000 არსებული ფერმერისთვის სასათბურე მეურნეობების კლასტერის განვითარების ჭრილში ...... 14
**აბრევიატურები ...... 15**

# IAZ-ის მოთხოვნა GHCD-ის საერთო, 2-წლიანი საკონსულტაციო მომსახურების მიწოდებაზე

## შემაჯამებელი მიმოხილვა

### შესყიდვის ობიექტი

შესყიდვის საგანია 2022-2023 წლებში შპს იმერეთის აგრო ზონის (IAZ) სასათბურე მეურნეობების კლასტერის განვითარების (GHCD) პროექტისათვის საჭირო საპროექტო-საკონსულტაციო მომსახურების ფასთა მოკვლევა. აღნიშნული GHCD პროექტი ინიცირებულია შპს „იმერეთის აგრო ზონის" მიერ და მხარდაჭერილია სოფლის განვითარების სააგენტოსა და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ.

აღნიშნული შესყიდვის ჩატარების ძირითადი მიზანია, წინადადებების მიღებაზე მოთხოვნის (RfP) პროცესის დროს მიღებული წინადადებების (და არა მარტო) საფუძველზე, საჭირო სამუშაოების განხორციელება / იმპლემენტაცია, როგორც ეს განსაზღვრულია 2021 წლის 1 ნოემბერს გამოქვეყნებულ RfP დოკუმენტში.

გთხოვთ იხილოთ თანდართული **დანართი 001** – 2021 წლის 1 ნოემბერს გამოქვეყნებული RfP დოკუმენტი

*იმერეთის აგრო ზონის (IAZ) ისტორია და წარმოშობა:*

GHCD პროექტის განხორციელება დაგეგმილია წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ფარცხანაყანევში (ს/კ 29.11.33.474 და ს/კ 29.11.32.543), სოფელ მაღლაკში (ს/კ 29.10.42.259, 29.10.42.253, 29.10.42.260, 29.10.42.224, 29.10.42.247, 29.10.42.039) და ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარციხეში (ს/კ 30.01.39.016 და ს/კ 30.01.39.017) მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საერთო ფართობით - 345 ჰა).

**პროექტის განხორციელების ძირითადი მიზნებია:**

- დასავლეთ საქართველოს ტრადიციული საექსპორტო დარგის, კერძოდ სასათბურე სექტორის (მწვანილის, სასათბურე ბოსტნეულის და სხვა) საექსპორტო პოტენციალის მაქსიმალური გამოყენების სტიმულირება და შედეგად საექსპორტო შემოსავლების ზრდა („იმერეთის აგრო ზონის" ბაზაზე);
- სხვადასხვა სახის ინსენტივები/მოტივატორების შექმნა, როგორც ადგილობრივი ფერმერებისთვის, ასევე ადგილობრივი და უცხოელი ინვესტორებისათვის, თანამედროვე, მაღალტექნოლოგიური, ენერგოეფექტური სასათბურე მეურნეობების შესაქმნელად;
- სასათბურე მეურნეობებში, როგორც საექსპორტო, ასევე ადგილობრივი ბაზრებისთვის განკუთვნილი საერთაშორისო სტანდარტების (GLOBAL GAP; EU სტანდარტები; DCFTA-ის მოთხოვნები) შესაბამისი ხარისხის სხვადასხვა კულტურების მოყვანის ხელშეწყობა;
- სასათბურე მეურნეობებთან ერთად, ღირებულებათა ჯაჭვის იმ რგოლების/ბიზნესების შექმნისა და განვითარების ხელშეწყობა, მათ შორის სხვადასხვა სახის მიმწოდებელთა ბაზის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის პროდუქციის შექმნას და ამ პროდუქციის საბოლოო მომხმარებლებამდე სათანადოდ მიწოდებას;
- „იმერეთის აგრო ზონის" სასათბურე მეურნეობაში მაღალი დონის, საერთაშორისო გამოცდილებაზე დაფუძნებული ტექნოლოგიური და ტექნიკური სერვისების უწყვეტი

მიწოდება და სასათბურე მეურნეობის უზრუნველყოფა შესაბამისი ცოდნის მქონე და რეგულარულად გადამზადებადი კადრებით;

- „იმერეთის აგრო ზონის" ბაზაზე, ისეთი სასათბურე კლასტერის მოდელის შექმნის ხელშეწყობა, რომლის რეპლიკაცია შესაძლებელი იქნება საქართველოს სხვადასხვა რეგიონში.

**ჩატარებული სამუშაოების მოკლე აღწერა**

„იმერეთის აგრო ზონის" სასათბურე მეურნეობების კლასტერის განვითარების პროექტი 2020 წლის თებერვლიდან ხორციელდება. ამ პერიოდში, მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩატარდა, მათ შორის:

- ჩამოყალიბდა პროექტის განვითარების კონცეფცია;
- მოხდა თავდაპირველად გამოყოფილი მიწის ნაკვეთის ჩანაცვლება, ორი ახალი მიწის ნაკვეთით, წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, სოფ. ფარცხანაყანებში და ბაღდათის მუნიციპალიტეტში, სოფ. ვარციხეში;
- მოხდა აღნიშნული მიწის ნაკვეთების გეოლოგიური, გეოდეზიური და ფიზიკური მახასიათებლების სრული შესწავლა;
- აღნიშნული ნაკვეთები დაიყო სხვადასხვა ტექნოლოგიურ ზონებად;
- 2021 წლის 1 მარტს გამოცხადდა საერთაშორისო არავალდებულებითი ინტერესთა გამოხატვა, რომელიც მიმდინარე წლის 30 აპრილს დასრულდა. 50-მდე კომპანიამ, სხვადასხვა ქვეყნიდან, გამოხატა თავისი ინტერესი აღნიშნული პროექტის მიმართ;
- მოხდა აღნიშნული მიწის ნაკვეთების დაყოფა სხვადასხვა ტექნოლოგიურ ზონებად და აქედან 32 ჰა გამოიყო გასაყიდად/იჯარით გასაცემად საერთაშორისო, გამჭვირვალე RfP პროცესის ფარგლებში, რომელიც გამოცხადდა 2021 წლის 1 ნოემბერს. 28-მა იურიდიულმა პირმა (კომპანია და კონსორციუმი) სხვადასხვა ქვეყნიდან წარმოადგინა წინადადება RfP პროცესით შემოთავაზებულ სხვადასხვა შესაძლებლობებზე. გთხოვთ, იხილოთ თანდართული **დანართი 001**.

## ფასის მოკვლევის მოთხოვნები

გთხოვთ, მოგვაწოდოთ სავარაუდო ჯამური ფასი ზოგადი საკონსულტაციო მომსახურებისთვის, რომელიც მიეწოდება IAZ-ს GHCD პროექტის განხორციელების / იმპლემენტაციის 1-ლი ფაზის დროს (განხილული 2022-2023 წლებში), როგორც მოცემულია 2021 წლის 1 ნოემბერს გამოცხადებულ RfP დოკუმენტში.

გთხოვთ იხილოთ თანდართული **დანართი 001** – 2021 წლის 1 ნოემბერს გამოქვეყნებული RfP დოკუმენტი.

### მოთხოვნილი საერთო საკონსულტაციო მომსახურების მიწოდების საბოლოო თარიღი

ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 24 (ოცდაოთხი) თვე.

### საერთო საკონსულტაციო მომსახურების ფასის წარდგენა

საერთაშორისო და ადგილობრივ კომპანიებს, რომლებსაც აქვთ შესაბამისი გამოცდილება საჭირო საკონსულტაციო სერვისების მიწოდებაში, გთხოვთ შეავსოთ **დანართი 002** და წარმოადგინოთ წინადადებები IAZ-ის ელექტრონულ ფოსტაზე: levan.lominadze@iaz.ge

საკონტაქტო პირი: ბ-ნი ლევან ლომინაძე, IAZ დირექტორის მოადგილე.

## განმცხადებლის იურიდიული სტატუსი

ნებისმიერი სახის იურიდიული პირი (შპს, სს, ამხ. და ა.შ.), რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

## ორგანიზაციის ტიპი / საქმიანობის სფერო

განმცხადებელის (ან/და მის კონტრაქტორის) საქმიანობის სფერო უნდა მოიცავდეს:

- ბიზნესის განვითარება;
- აქტივების მართვა;
- ფინანსური სტრუქტურირება;
- სამართლებრივ სტრუქტურირება;
- სასათბურე მეურნეობების აგროტექნიკური და ტექნოლოგიური საკონსულტაციო სერვისის უზრუნველყოფა.

## მოთხოვნილი შესაბამისი კვალიფიკაცია

განმცხადებელ კომპანიას (ან/და მის კონტრაქტორის) უნდა გააჩნდეს შესაბამისი ექსპერტული კვალიფიკაცია ჩამოთვლილ საქმიანობებში:

- საერთაშორისო / ადგილობრივი ფინანსური კონსულტაცია;
- აგრო ტექნიკური / ტექნოლოგიური კონსულტაცია (განსაკუთრებით სასათბურე მეურნეობებისთვის);
- აგრო საინჟინრო ცოდნა / გამოცდილება სასათბურე მეურნეობების შექმნა და ოპერირებაში;
- საერთაშორისო / ადგილობრივი პროექტების მართვის ცოდნა / გამოცდილება;
- იურიდიული კონსულტაცია;
- ბიზნესის განვითარების ცოდნა / გამოცდილება;
- აგრონომიული (სასათბურე მეურნეობების) ცოდნა / გამოცდილება;
- კორპორატიული მართვის ცოდნა / გამოცდილება;
- მდგრადი ბიზნესის განვითარების ფინანსური ცოდნა / გამოცდილება;
- საკონსულტაციო მომსახურება სასოფლო-სამეურნეო სატრენინგო ცენტრისთვის;
- საკონსულტაციო მომსახურება სასოფლო-სამეურნეო ლოგისტიკური ცენტრისთვის;
- ფერმერთა ჯგუფების ფორმირებისა და მართვის ცოდნა / გამოცდილება;
- მერძევეობის სასაქონლო ფერმის განვითარების ცოდნა / გამოცდილება;
- საკონსულტაციო მომსახურება ურბანული დაგეგმარებისა და არქიტექტურისთვის;
- საკონსულტაციო მომსახურება განახლებადი ენერგიის გენერაციის განვითარებისთვის.

## მოთხოვნილი შესაბამისი გამოცდილება

განმცხადებელ კომპანიას (ან/და მის კონტრაქტორის) უნდა ჰქონდეს შესაბამისი, მინიმუმ 3 წლიანი საერთაშორისო ექსპერტული დონის გამოცდილება ჩამოთვლილ საქმიანობებში:

- ბიზნესის განვითარება (SME-ები და ფართომასშტაბიანი ბიზნეს მოდელების განვითარება);
- იურიდიული და ფინანსური სტრუქტურირება;
- აგრო ტექნიკური და ტექნოლოგიური სფერო (სპეციალიზაცია მაღალ, საშუალო და დაბალტექნოლოგიური ფართომასშტაბიანი სასათბურე მეურნეობების

პროექტებში, სასოფლო-სამეურნეო სატრენინგო და ლოგისტიკური ცენტრების მოწყობაში);

- ფართობასშტაბიანი ინფრასტრუქტურული პროექტების განვითარება და ზედამხედველობა;
- კომუნალური სერვისების დისტრიბუცია და განახლებადი ენერგიის გენერაციის პროექტები;
- ფართომასშტაბიანი ადგილობრივი პროექტების მართვა.

## წარმოსადგენი ანგარიშები

განმცხადებელმა კომპანიამ უნდა წარმოადგინოს მინიმუმ ჩამოთვლილი ანგარიშები (ანგარიშების ჩაბარების პროცედურა მოიცავს RDA-ს, MEPA-ს და GoG-ის წარმომადგენლების ჩართულობას). ფასთა მოკვლევის ამ ეტაპზე განიხილება შემდეგი ანგარიშები:

- პირველადი ანგარიში - 2022 წლის მესამე კვარტალი
- 2022 წლის RfP-ის საბოლოო ანგარიში
- პირველი შუალედური / წლიური ანგარიში - 2023 წლის პირველი კვარტალი
- მეორე შუალედური ანგარიში - 2023 წლის მეორე კვარტალი
- 2023 წლის RfP-ის საბოლოო ანგარიში
- საბოლოო ანგარიში - 2024 წლის პირველი კვარტალი

## შესასრულებელი სამუშაოების საერთო ჩამონათვალი და პირველადი განრიგი

### საერთაშორისო სენიორ ექსპერტები სრულ განაკვეთზე (Senior Expertise)

შერჩეული საკონსულტაციო მომსახურების მომწოდებელი კომპანიისთვის განსაზღვრულია შემდეგი სრულ-განაკვეთიანი საერთაშორისო სენიორ ექსპერტებით უზრუნველყოფა.

| სრულ-განაკვეთიანი საერთაშორისო ექსპერტი | კონტრაქტის ხანგრძლივობა* | კაც-დღეების რაოდენობა 1 წლის განმავლობაში |
|---|---|---|
| **საერთაშორისო ფინანსური კონსულტაცია** | 2 წელი | 130 დღე |
| **აგრო ტექნიკური / ტექნოლოგიური კონსულტაცია** | 2 წელი | 130 დღე |
| **აგრო საინჟინრო ცოდნა / გამოცდილება** | 2 წელი | 130 დღე |
| **საერთაშორისო პროექტების მართვის ცოდნა / გამოცდილება** | 2 წელი | 130 დღე |

*სამუშაოები უნდა შესრულდეს 2022-2023 წლებში. (კაც-დღეების რაოდენობა განსაზღვრულია 70%-ით 2022 წელს და 30%-ით 2023 წელს.)

### ადგილობრივი სენიორ ექსპერტები სრულ განაკვეთზე (Senior Expertise)

შერჩეული საკონსულტაციო მომსახურების მომწოდებელი კომპანიისთვის განსაზღვრულია შემდეგი სრულ-განაკვეთიანი ადგილობრივი სენიორ ექსპერტებით უზრუნველყოფა.

| სრულ-განაკვეთიანი ადგილობრივი ექსპერტი | კონტრაქტის ხანგრძლივობა* | კაც-დღეების რაოდენობა 1 წლის განმავლობაში |
|---|---|---|
| **იურიდიული კონსულტაცია** | 2 წელი | 220 დღე |
| **ადგილობრივი ფინანსური კონსულტაცია** | 2 წელი | 220 დღე |

| | | |
|---|---|---|
| **ბიზნესის განვითარების ცოდნა / გამოცდილება** | 2 წელი | 220 დღე |
| **ადგილობრივი პროექტების მართვის ცოდნა / გამოცდილება** | 2 წელი | 220 დღე |
| **აგრონომიული ცოდნა / გამოცდილება** | 2 წელი | 220 დღე |

*სამუშაოები უნდა შესრულდეს 2022-2023 წლებში.

## საერთაშორისო სენიორ ექსპერტები არასრულ განაკვეთზე (Senior Expertise)

შერჩეული საკონსულტაციო მომსახურების მომწოდებელი კომპანიისთვის განსაზღვრულია შემდეგი არასრულ-განაკვეთიანი საერთაშორისო სენიორ ექსპერტებით უზრუნველყოფა.

| არასრულ-განაკვეთიანი საერთაშორისო ექსპერტი | კონტრაქტის ხანგრძლივობა* | კაც-დღეების რაოდენობა კონტრაქტის განმავლობაში |
|---|---|---|
| **კორპორატიული მმართველობის ცოდნა / გამოცდილება** | 6-თვე | 85 დღე |
| **მდგრადი ბიზნესის განვითარების ფინანსური ცოდნა / გამოცდილება** | 6-თვე | 85 დღე |
| **კონსულტაცია სასოფლო-სამეურნეო სატრენინგო ცენტრისთვის** | 7-თვე | 120 დღე |
| **კონსულტაცია სასოფლო-სამეურნეო ლოგისტიკურ ცენტრისთვის** | 11-თვე | 200 დღე |
| **ფერმერთა ჯგუფების ფორმირებისა და მართვის ცოდნა / გამოცდილება** | 6-თვე | 85 დღე |
| **სასაქონლე ფერმის განვითარების ცოდნა / გამოცდილება** | 6-თვე | 85 დღე |
| **კონსულტაცია ურბანული დაგეგმარებისა და არქიტექტურისთვის** | 11-თვე | 200 დღე |
| **კონსულტაცია განახლებადი ენერგიის გენერაციის განვითარებისთვის** | 6-თვე | 85 დღე |

*სამუშაოები უნდა შესრულდეს 2022-2023 წლებში. (კაც-დღეების რაოდენობა განსაზღვრულია 70%-ით 2022 წელს და 30%-ით 2023 წელს.)

## ადგილობრივი სენიორ ექსპერტები არასრულ განაკვეთზე (Senior Expertise)

შერჩეული საკონსულტაციო მომსახურების მომწოდებელი კომპანიისთვის განსაზღვრულია შემდეგი არასრულ-განაკვეთიანი ადგილობრივი სენიორ ექსპერტებით უზრუნველყოფა.

| არასრულ-განაკვეთიანი ადგილობრივი ექპერტი | კონტრაქტის ხანგრძლივობა* | კაც-დღეების რაოდენობა კონტრაქტის განმავლობაში |
|---|---|---|
| **კონსულტაცია ურბანული დაგეგმარებისა და არქიტექტურისთვის** | 11-თვე | 200 დღე |
| **ფერმერთა ჯგუფების ფორმირებისა და მართვის ცოდნა / გამოცდილება** | 6-თვე | 85 დღე |

*სამუშაოები უნდა შესრულდეს 2022-2023 წლებში. (კაც-დღეების რაოდენობა განსაზღვრულია 70%-ით 2022 წელს და 30%-ით 2023 წელს.)

## წინასწარ შეთანხმებული ჩანიშნული შეხვედრები (ან, ონლაინ შეხვედრები)

შერჩეული საკონსულტაციო მომსახურების მომწოდებელი კომპანიისთვის განსაზღვრულია ჩამოთვლილი შეხვედრების ან/და ონლაინ შეხვედრების ჩატარება. შემოთავაზებული

განრიგი მოქნილია და შესაძლოა გადაიხედოს პროექტის იმპლემენტაციის პროცესში, მიმდინარედ:

### IAZ-ის პროექტების მართვის გუნდთან

შემოთავაზებული განრიგი (ყოველკვირეული - 2 წლის განმავლობაში) – ჯამში 105 შეხვედრა.

### RDA-სთან, MEPA-სთან და GoG-სთან

შემოთავაზებული განრიგი (ყოველ 2 კვირაში - 2 წლის განმავლობაში) – ჯამში 53 შეხვედრა.

### საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან

შემოთავაზებული განრიგი (ყოველ 2 თვეში - 2 წლის განმავლობაში) – ჯამში 12 შეხვედრა.

### განვითარების სააგენტოებთან

შემოთავაზებული განრიგი (ყოველთვიურად - 2 წლის განმავლობაში) – ჯამში 24 შეხვედრა.

### შესაბამის საელჩოებთან

შემოთავაზებული განრიგი (ყოველ 2 თვეში - 2 წლის განმავლობაში) – ჯამში 12 შეხვედრა.

### ადგილობრივ მოსახლეობასთან

შემოთავაზებული განრიგი (3 დღე თვეში - პროექტების მართვის გუნდი) – ჯამში 24 შეხვედრა (72 საველე სამუშაო დღე).

შემოთავაზებული განრიგი (3 დღე ყოველ 2 თვეში - უფროსი ექსპერტების გუნდი) – ჯამში 12 შეხვედრა (36 საველე სამუშაო დღე).

### IAZ-ის მხარდაჭერა სხვა მნიშვნელოვანი შეხვედრების (ან საკონფერენციო ზარების) დროს

შემოთავაზებული განრიგი (ყოველთვიურად - 2 წლის განმავლობაში) – ჯამში 24 შეხვედრა.

## პროექტის განვითარების საერთო სამუშაოების ჩამონათვალი

### 2022 წლის RfP პროცესის ზოგადი ჩამოყალიბება

- საქართველოს, ევროკავშირის, გლობალური განვითარების სააგენტოებისა და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების საჯარო ტენდერების ჭრილში არსებული სამართლებრივი და კომერციული მოთხოვნებისა და საუკეთესო მეთოდების კვლევა და განხილვა;
- შესაბამისი სამინისტროებისა და სააგენტოების განსაზღვრა RfP პროცესში მონაწილეობის მისაღებად;
- RfP პროცესის ზოგადი დოკუმენტირება და ქრონოლოგიური 'აუდიტორული კვალის' (საკონტროლო დოკუმენტაციის) შექმნა;
- IAZ-ის და MEPA-ის სამუშაო ჯგუფის შეხვედრები (ორ კვირაში ერთხელ).

### 2022 წლის RfP დოკუმენტის მომზადება

- ინდივიდუალური ან/და კოლექტიური შეხვედრების გამართვა IAZ-ის, RDA-ს და MEPA-ს წარმომადგენლებთან, ისევე როგორც პოტენციურ კერძო ინვესტორებთან;
- საწარმოო ნაკვეთის ახალი ტექნიკური / ტექნოლოგიური ზონირების გეგმის მომზადება AutoCAD-ში;
- მესამე მხარის, დამოუკიდებელი იურიდიული პირის მიერ მომზადებული გეოლოგიური და ტოპოგრაფიული კვლევების მიმდინარე ანგარიშების შესწავლა - კლიენტის მოთხოვნასთან შესაბამისობის დადასტურება;

- საბოლოო RfP დოკუმენტის მომზადება და შეთანხმება IAZ-თან, RDA-სთან და MEPA-სთან აღნიშნული დოკუმენტის გასაჯაროვებაზე - IAZ-ის ვებგვერდისა და სოციალური მედიის მეშვეობით თითოეული სამიზნე ჯგუფისთვის და ქვეჯგუფისთვის;
- საგეგმო ნახაზების გადახედვა, დამკვეთის მიერ მოწოდებული ტოპოგრაფიული რუკის საფუძველზე;
- სანიაღვრე არხებისა და წყლის გამწმენდი ნაგებობების გადაგეგმარება;
- IAZ-თან, RDA-სთან და MEPA-სთან მომზადება და შეთანხმება საბოლოო RfP დოკუმენტზე, რომელიც გასაჯაროვდება IAZ ვებსაიტზე და სოციალურ მედიაში თითოეული სამიზნე ჯგუფისა და ქვეჯგუფისთვის.

### 2022 წლის RfP-ის გასაჯაროვებისთვის პროცესის მომზადება

- მოსაწვევების გაგზავნა პოტენციური განმცხადებლებისთვის, რომლებმაც მიიღეს მონაწილეობა 2021 წლის EoI ან/და RfP პროცესებში ან რომლებთანაც კონტაქტი დამყარდა 2021 წლის EoI ან/და RfP პროცესების განმავლობაში;
- საელჩოების, განვითარების სააგენტოების და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების ინფორმირება (რომლებთანაც დამყარდა კონტაქტი 2021 წლის EoI ან/და RfP პროცესების განმავლობაში);
- IAZ-ის ვებგვერდისა და სოციალური მედიის კონტენტის მომზადება 2022 წლის RfP-ის გამოცხადებისთვის;
- 2022 წლის RfP განმცხადებლის რეგისტრაციის და სამართლებრივი შეფასების (Due Diligence-ის) ფორმების მომზადება და აღნიშნულ რეკომენდირებულ პროცედურაზე IAZ-თან შეთანხმება;
- იმ კომპანიებისგან შემდგარი სიების მომზადება (სამიზნე ჯგუფებისა და პრიორიტეტულობის მიხედვით), რომლებსაც უნდა მიემართოს 2022 წლის RfP პროცესის განმავლობაში;
- დამოუკიდებელი, მესამე მხარის მიერ Fair Value-ს საფუძველზე IAZ-ის მიწის შეფასების დოკუმენტის მომზადება;
- დამოუკიდებელი, მესამე მხარის მიერ Fair Value-ს საფუძველზე IAZ-ის მიწის შეფასების დოკუმენტის ჩაბარება.

### 2022 წლის RfP-ის გასაჯაროვება

- 2022 წლის RfP-ის გასაჯაროვება;
- სექტორული ბრიფინგების ჩატარება 2022 წლის RfP განმცხადებლებისთვის (დასრულებული 2021 წლის RfP-ს პროცესის განმავლობაში ჩამოყალიბებული პროცედურის მიხედვით).

### 2022 წლის RfP-ის მონაცემთა მართვა საჯარო გამოცხადებისთვის

- RfP დოკუმენტაციისა და მონაცემთა მართვის კონცეფცია - IAZ-ის შიდა მოხმარებისთვის, დოკუმენტაციის გარე უზრუნველყოფისთვის და 'აუდიტორული კვალის' (საკონტროლო დოკუმენტაციის) შექმნისთვის.

### 2022 წლის RfP-ის შეჯამება, აპლიკანტებთან მოლაპარაკება და კონტრაქტების გაფორმებაში ხელშეწყობა

- 2022 წლის RfP-ის საბოლოო ანგარიში.

### 2023 წლის RfP პროცესის ზოგადი ჩამოყალიბება

- საქართველოს, ევროკავშირის, გლობალური განვითარების სააგენტოებისა და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების საჯარო ტენდერების ჭრილში არსებული

სამართლებრივი და კომერციული მოთხოვნებისა და საუკეთესო მეთოდების კვლევა და განხილვა;

- შესაბამისი სამინისტროებისა და სააგენტოების განსაზღვრა RfP პროცესში მონაწილეობის მისაღებად;
- RfP პროცესის ზოგადი დოკუმენტირება და ქრონოლოგიური 'აუდიტორული კვალის' (საკონტროლო დოკუმენტაციის) შექმნა;
- IAZ-ის და MEPA-ის სამუშაო ჯგუფის შეხვედრები (ორ კვირაში ერთხელ).

## 2023 წლის RfP დოკუმენტის მომზადება

- ინდივიდუალური ან/და კოლექტიური შეხვედრების გამართვა IAZ-ის, RDA-ს და MEPA-ს წარმომადგენლებთან, ისევე როგორც პოტენციურ კერძო ინვესტორებთან;
- საწარმოო ნაკვეთის ახალი ტექნიკური / ტექნოლოგიური ზონირების გეგმის მომზადება AutoCAD-ში;
- მესამე მხარის, დამოუკიდებელი იურიდიული პირის მიერ მომზადებული გეოლოგიური და ტოპოგრაფიული კვლევების მიმდინარე ანგარიშების შესწავლა - კლიენტის მოთხოვნასთან შესაბამისობის დადასტურება;
- საგეგმო ნახაზების გადახედვა, დამკვეთის მიერ მოწოდებული ტოპოგრაფიული რუკის საფუძველზე;
- სანიაღვრე არხებისა და წყლის გამწმენდი ნაგებობების გადაგეგმარება;
- IAZ-თან, RDA-სთან და MEPA-სთან მომზადება და შეთანხმება საბოლოო RfP დოკუმენტზე, რომელიც გასაჯაროვდება IAZ ვებსაიტზე და სოციალურ მედიაში თითოეული სამიზნე ჯგუფისა და ქვეჯგუფისთვის.

## 2023 წლის RfP-ის გასაჯაროვებისთვის პროცესის მომზადება

- მოსაწვევების გაგზავნა პოტენციური განმცხადებლებისთვის, რომლებმაც მიიღეს მონაწილეობა 2022 წლის RfP პროცესში;
- საელჩოების, განვითარების სააგენტოების და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების ინფორმირება (რომლებთანაც დამყარდა კონტაქტი 2022 წლის RfP პროცესის განმავლობაში);
- IAZ-ის ვებგვერდისა და სოციალური მედიის კონტენტის მომზადება 2023 წლის RfP-ის გამოცხადებისთვის;
- 2023 წლის RfP განმცხადებლის რეგისტრაციის და სამართლებრივი შეფასების (Due Diligence-ის) ფორმების მომზადება და აღნიშნულ რეკომენდირებულ პროცედურაზე IAZ-თან შეთანხმება;
- იმ კომპანიებისგან შემდგარი სიების მომზადება (სამიზნე ჯგუფებისა და პრიორიტეტულობის მიხედვით), რომლებსაც უნდა მიემართოს 2023 წლის RfP პროცესის განმავლობაში;
- დამოუკიდებელი, მესამე მხარის მიერ Fair Value-ს საფუძველზე IAZ-ის მიწის შეფასების დოკუმენტის მომზადება;
- დამოუკიდებელი, მესამე მხარის მიერ Fair Value-ს საფუძველზე IAZ-ის მიწის შეფასების დოკუმენტის ჩაბარება.

## 2023 წლის RfP-ის გასაჯაროვება

- 2023 წლის RfP-ის გასაჯაროვება;
- სექტორული ბრიფინგების ჩატარება 2023 წლის RfP განმცხადებლებისთვის (დასრულებული 2021 წლის RfP-ს პროცესის განმავლობაში ჩამოყალიბებული პროცედურის მიხედვით).

## 2023 წლის RfP-ის მონაცემთა მართვა საჯარო გამოცხადებისთვის

- RfP დოკუმენტაციისა და მონაცემთა მართვის კონცეფცია - IAZ-ის შიდა მოხმარებისთვის, დოკუმენტაციის გარე უზრუნველყოფისთვის და 'აუდიტორული კვალის' (საკონტროლო დოკუმენტაციის) შექმნისთვის.

## 2023 წლის RfP-ის შეჯამება, აპლიკანტებთან მოლაპარაკება და კონტრაქტების გაფორმებაში ხელშეწყობა

- 2023 წლის RfP-ის საბოლოო ანგარიში.

## IAZ-ის საწარმოო ნაკვეთის დეტალური საინჟინრო პროექტირების (ძირითადი ინფრასტრუქტურა - გზები, ბუნებრივი აირის, ელექტროენერგიის და წყლის მიწოდება, საკანალიზაციო სისტემა) ToR-ის მომზადება

- დეტალური საინჟინრო პროექტის ToR-ის მომზადება IAZ GHCD პროექტის კონცეფციის გეგმის მიხედვით.

## კონკურსის გამოცხადება EPC და სხვა შესაბამისი კონტრაქტორი კომპანიებისთვის

- საერთაშორისო, გამჭვირვალე საჯარო კონკურსის მომზადება და გამოცხადება საუკეთესო შესაფერისი EPC და სხვა შესაბამისი კონტრაქტორი კომპანიების გამოვლენის მიზნით;
- IAZ-ის ვებსაიტის და სოციალური მედიის კონტენტის მომზადება EPC და სხვა შესაბამისი კონტრაქტორი კომპანიებისთვის განკუთვნილი კონკურსის გამოცხადებისთვის;
- საკონკურსო განცხადების დროს მიღებული წინადადებების შესწავლა;
- საკონკურსო განცხადების საბოლოო ანგარიშის და რეკომენდაციების მომზადება.

## IAZ-ის 10 წლიანი ბიუჯეტის განახლება

- IAZ-ის 10-წლიანი ბიუჯეტის გადახედვა 2021 წლის RfP-ის შედეგების მიხედვით (2022 წლის აპრილი-მაისი);
- IAZ-ის 10-წლიანი ბიუჯეტის გადახედვა 2022 წლის დეტალური საინჟინრო კაპიტალის ხარჯების დასკვნების მიხედვით (2023 წლის 1 კვარტალი).

## კონსულტაცია შპს IAZ-ს სს IAZ-ად რესტრუქტურიზაციის შესახებ

- IAZ-ის კონსულტაცია სს IAZ-ის სამართლებრივი სტრუქტურის შემუშავებაში;
- IAZ-ის კონსულტაცია სს IAZ-ის ფინანსური სტრუქტურის განვითარებაში;
- IAZ-ის კონსულტაცია სს IAZ-ის ვებსაიტის და სოციალური მედიის სტრატეგიის შემუშავებაში;
- IAZ-ის კონსულტაცია სს IAZ-ის შესაძლებლობების განვითარებაში - კორპორატიული მმართველობის ჩამოყალიბება;
- IAZ-ის მხარდაჭერა IFI-სა და DA-სგან ტექნიკური დახმარებისა და გრანტის მიწოდების შესაძლებლობებში.

## საკონსულტაციო მომსახურება IAZ-ისთვის HTDC-ის პროექტის იმპლემენტაციის ჭრილში

- მჭიდრო თანამშრომლობა IAZ საერთაშორისო SES ექსპერტთან HTDC იმპლემენტაციის ჭრილში;
- დისკუსიები და მოლაპარაკებები განვითარების სააგენტოებთან HTDC-ის იმპლემენტაციის ჭრილში;
- დისკუსიები და მოლაპარაკებები საელჩოებთან და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან HTDC-ის იმპლემენტაციის ჭრილში;

- დისკუსიები და მოლაპარაკებები უნივერსიტეტებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და პროფესიული სწავლების ინსტიტუტებთან HTDC-ის იმპლემენტაციის ჭრილში თანამშრომლობასთან დაკავშირებით;
- დისკუსიები და მოლაპარაკებები კერძო სექტორის კომპანიებთან, რომლებსაც სურთ საკუთარი პროდუქციის დემონსტრირება HTDC-ში ან აღჭურვილობის, აგრო მასალის და ტექნოლოგიების უსასყიდლოდ ან იჯარით გაცემა;
- IAZ-ის მხარდაჭერა HTDC-ის პროექტის იმპლემენტაციის MEPA-სთვის, RDA-სთვის და სხვა პოტენციურად დაინტერესებული მხარეებისთვის წარდგენაში;
- კონსულტაცია IAZ-ისთვის HTDC-ის პროექტის იმპლემენტაციის ფინანსური სტრუქტურის ნაწილში;
- პირველადი 3-წლიანი ბიზნეს პროექციის კონცეფციისა და სტრუქტურის მომზადება
- ფინანსური წყაროების მოკვლევა IAZ-ის მოთხოვნების მიხედვით და მათი განაწილება დონორების, განვითარების სააგენტოების, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების, აგრო-მასალის მომწოდებლების და სახელმწიფო გრანტების მეშვეობით;
- გაერთიანების მიმართ ადგილობრივი ფერმერების ინტერესების დაჯგუფება, RfP პარამეტრებიდან გამომდინარე.

## საკონსულტაციო მომსახურება IAZ-ისთვის სს CLC-ის პროექტის იმპლემენტაციის ჭრილში

- დისკუსიები და მოლაპარაკებები O&M ოპერატორებთან სს CLC-ის იმპლემენტაციის ჭრილში;
- დისკუსიები და მოლაპარაკებები საელჩოებთან და IFI-ებთან სს CLC-ის იმპლემენტაციის ჭრილში;
- დისკუსიები და მოლაპარაკებები კერძო სექტორის კომპანიებთან, რომლებსაც სურთ მონაწილეობის მიღება სს CLC-ის იმპლემენტაციის ჭრილში;
- IAZ-ის მხარდაჭერა სს CLC-ის პროექტის იმპლემენტაციის MEPA-სთვის, RDA-სთვის და სხვა პოტენციურად დაინტერესებული მხარეებისთვის წარდგენაში;
- კონსულტაცია IAZ-ისთვის სს CLC-ის პროექტის იმპლემენტაციის სამართლებრივი სტრუქტურის ნაწილში / სამართლებრივი სუბიექტის ჩამოყალიბება IAZ-ის მიერ;
- კონსულტაცია IAZ-ისთვის სს CLC-ის პროექტის იმპლემენტაციის ფინანსური სტრუქტურის ნაწილში;
- პირველადი 3-წლიანი ბიზნეს პროექციის კონცეფციისა და სტრუქტურის მომზადება;
- IAZ-ის კონსულტაცია სს CLC-ის 'მეჩმეიქინგის' საქმიანობაში.

## საკონსულტაციო მომსახურება IAZ-ისთვის სს AEU-ს პროექტის იმპლემენტაციის ჭრილში

- დისკუსიები და მოლაპარაკებები საელჩოებთან და IFI-ებთან სს AEU-ს იმპლემენტაციის ჭრილში;
- დისკუსიები და მოლაპარაკებები კერძო სექტორის კომპანიებთან, რომლებსაც სურთ მონაწილეობის მიღება სს AEU-ს იმპლემენტაციის ჭრილში;
- IAZ-ის მხარდაჭერა სს AEU-ს პროექტის იმპლემენტაციის MEPA-სთვის, RDA-სთვის და სხვა პოტენციურად დაინტერესებული მხარეებისთვის წარდგენაში;
- კონსულტაცია IAZ-ისთვის სს AEU-ს პროექტის იმპლემენტაციის სამართლებრივი სტრუქტურის ნაწილში / სამართლებრივი სუბიექტის ჩამოყალიბება IAZ-ის მიერ;
- კონსულტაცია IAZ-ისთვის სს AEU-ს პროექტის იმპლემენტაციის ფინანსური სტრუქტურის ნაწილში;

- პირველადი 3-წლიანი ბიზნეს პროექციის კონცეფციისა და სტრუქტურის მომზადება;
- IAZ-ის კონსულტაცია სს AEU-ს ‘მეჩმეიქინგის’ საქმიანობაში.

### საკონსულტაციო მომსახურება IAZ-ისთვის მერძევეობის სასაქონლო ფერმის იმპლემენტაციის ჭრილში

- დისკუსიები და მოლაპარაკებები განვითარების სააგენტოებთან სასაქონლო ფერმის იმპლემენტაციის ჭრილში;
- დისკუსიები და მოლაპარაკებები საელჩოებთან და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან მერძევეობის სასაქონლო ფერმის იმპლემენტაციის ჭრილში;
- IAZ-ის მხარდაჭერა სამართლებრივი სტრუქტურის (კოოპერატივის) ჩამოყალიბებაში კოპიტნარის იძულებით გადაადგილებული პირებისა და პროექტის სხვა ბენეფიციარებისთვის;
- IAZ-ის მხარდაჭერა მერძევეობის სასაქონლო ფერმის პროექტის MEPA-სთვის, RDA-სთვის და სხვა პოტენციურად დაინტერესებული მხარეებისთვის წარდგენაში.

### საკონსულტაციო მომსახურება IAZ-ისთვის განახლებადი ენერგიის გენერაციის განვითარების ჭრილში

- მჭიდრო თანამშრომლობა IAZ საერთაშორისო SES ექსპერტთან განახლებადი ენერგიის გენერაციის ჭრილში;
- დისკუსიები და მოლაპარაკებები საქართველოს სატყეო დეპარტამენტთან IAZ-ისთვის ხელმისაწვდომი ბიომასის შესახებ;
- დისკუსიები და მოლაპარაკებები განვითარების სააგენტოებთან, IAZ-ში არსებული განახლებადი ენერგიის გენერაციის შესაძლებლობების შესახებ;
- დისკუსიები და მოლაპარაკებები კერძო სექტორის კომპანიებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, IAZ-ში არსებული განახლებადი ენერგიის გენერაციის შესაძლებლობების შესახებ;
- დისკუსიები და მოლაპარაკებები საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან, IAZ-ში არსებული განახლებადი ენერგიის გენერაციის შესაძლებლობების შესახებ;
- IAZ-ის კონსულტაცია ბიო ენერგიის გენერაციის განვითარებისა და ბიო ნარჩენების შეგროვების შესაძლებლობების შესახებ;
- IAZ-ის მხარდაჭერა განახლებადი ენერგიის გენერაციის შესაძლებლობების MEPA-სთვის, RDA-სთვის და სხვა პოტენციურად დაინტერესებული მხარეებისთვის წარდგენაში.

### საკონსულტაციო მომსახურება IAZ-ისთვის 5000 არსებული ფერმერისთვის სასათბურე მეურნეობების კლასტერის განვითარების ჭრილში

- დისკუსიები და მოლაპარაკებები განვითარების სააგენტოებთან, IAZ-ის კლასტერის არსებული წევრების მხარდაჭერის შესაძლებლობების შესახებ
- დისკუსიები და მოლაპარაკებები საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან, IAZ-ის კლასტერის არსებული წევრების მხარდაჭერის შესაძლებლობების შესახებ
- დისკუსიები და მოლაპარაკებები ადგილობრივ ბანკებთან, IAZ-ის კლასტერის არსებული წევრების მხარდაჭერის შესაძლებლობების შესახებ
- IAZ-ის კონსულტაცია IAZ-ის კლასტერის არსებული პოტენციური ბენეფიციარებისთვის ტექნიკური და ტექნოლოგიური მხარდაჭერის უზრუნველყოფის შესახებ.

# აბრევიატურები

ქვევით მოცემულია აბრევიატურები და შესაბამისი განმარტებები, ანბანის მიხედვით:

AEU – სს აგრო ენერგია და კომუნალური სერვისები;

CLC – სს შემგროვებელი ლოგისტიკური ცენტრი;

EoI – არავალდებულებითი ინტერესთა გამოხატვის პროცესი, რომელიც IAZ-მა გამოაცხადა 2021 წელს;

EPC – საინჟინრო საქმიანობა, შესყიდვა, მშენებლობა;

EU – ევროპის კავშირი;

GHCD – სასათბურე მეურნეობების კლასტერის განვითარება;

GoG – საქართველოს მთავრობა;

HTDC – ა(ა)იპ მებაღეობის სატრენინგო და სადემონსტრაციო ცენტრი;

IAZ – შპს იმერეთის აგრო ზონა ან ნებისმიერი სხვა იურიდიული პირი, რომლადაც ის რესტრუქტურირდება

IFI(s) – საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები;

შპს – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება;

MEPA – საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო;

NGO(s) – არასამთავრობო ორგანიზაციები;

O&M – ოპერირება და შენარჩუნება;

RDA – საქართველოს სოფლის განვითარების სააგენტო;

RfP – ვალდებულებით წინადადებათა მიღებაზე მოთხოვნის პროცესი, რომელიც IAZ-მა გამოაცხადა 2021 წელს და რომელიც შეიძლება გამოცხადდეს სამომავლოდ;

SES – Senior Experten Service;

SME(s) – მცირე და საშუალო საწარმოები;

ToR – ტექნიკური დავალება.